ოქმი:**ო02. 3723237001**

თარიღი:**25/08/2023**

ოქმი № 13
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2023 წელი, 24 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

12.30-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, ტ. აროშიძე, დ. ჭაკნელიძე, ალ. ბურჭულაძე, ნ. სარჯველაძე, გ. შილაკაძე, დ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,მეგობრობის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,გაბრიელ ეპისკოპოსის“ სახელის მინიჭების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N58 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

3. ქალაქ ოზურგეთში სანაპიროს ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და ,,ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სანაპიროს ქუჩის“ სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელში, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტები:,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,მეგობრობის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,გაბრიელ ეპისკოპოსის“ სახელის მინიჭების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N58 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „ქალაქ ოზურგეთში სანაპიროს ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და ,,ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სანაპიროს ქუჩის“ სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“ და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელში, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“ -კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტების საკრებულოსა და ბიუროს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის დღის წესრიგში არსებული განკარგულების პროექტები წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი